

საქართველოს კანონი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N5, 18.01.2005, მუხ. 19) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. კანონს დაემატოს 20¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 20¹. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ტელე-რადიო პროდუქციისა და/ან მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.
 1. საზოგადოებრივ მაუწყებლის სახსრებით განსახორციელებელი ტელე-რადიო პროდუქციისა (გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები) და/ან მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.
 2. კონკურსის ჩატარების წესს, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. კონკურსის პირობებს განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი.
 3. საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესყიდვა განახორციელოს კონკურსის გარეშე, თუ შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს ან შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს არარეზიდენტი პირისაგან ტელე-რადიო პროდუქციის (გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები) ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.
 4. გადაუდებელი აუცილებლობისას შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს კონკურსის გარეშე სამეურვეო საბჭოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე.”
2. 22-ე მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:
„3. საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია დააფუძნოს მეწარმე სუბიექტები, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება ტელე-რადიო პროდუქციის წარმოება. მეწარმე სუბიექტიდან მიღებული მოგება გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაზე”.
3. 24-ე მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი შემდეგი რედაქციით:
„6. მეურვის პონორარის ოდენობასა და გაცემის წესს განსაზღვრავს სამეურვეო საბჭო”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი